შემოსავლების სამსახური

ბრძანება N 16420

15/05/2015

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მატერიალური საშუალებების ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაზე გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების; „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული “სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის” მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. **ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობას** გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ, ბალანსიდან ბალანსზე, სსიპ - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები, დანართი N1-ის შესაბამისად, საბალანსო ღირებულებით - 1120 (ათას ას ოცი) ლარი ნარჩენი საბალანსო ღირებულებით - 0 ლარი და მცირეფასიანი საშუალებები, დანართი N2-ის შესაბამისად, 390,60 (სამას ოთხმოცდაათი ლარი და სამოცი თეთრი); ასევე, **ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის** მერიას გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ, ბალანსიდან ბალანსზე, სსიპ - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები, დანართი N1-ის შესაბამისად, საბალანსო ღირებულებით - 1157,20 (ათას ას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და ოცი თეთრი) ნარჩენი საბალანსო ღირებულებით - 0 ლარი და მცირეფასიანი საშუალებები, დანართი N2-ის შესაბამისად, 1171,80 (ათას ას სამოცდათერთმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი);
2. სსიპ - შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველომ უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული, ქონების გადაცემა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სსიპ - შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - ნინო კუჭუხიძე;
4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს -ნიკოლოზ კახეთელიძეს.
5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 59615-21 წერილზე თანხმობა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის N51805/21 13.04.2015 და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის N49469/21 08.04/2015 წერილები.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური

დანართი N1 (ძირითადი საშუალებები)

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია

#	ინვენტარის სახელი	ინვენტარის ნომერი	სერიული ნომერი	მარკა	მოდელი	საბალანასო ღირებულება	ნარჩენი ღირებულება
1	პროცესორი	#0002824 (1-000331)	CZC8283DTL	HP	dc7800	1157.2	0
		სულ				1157.2	0

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობა

#	ინვენტარის სახელი	ინვენტარის ნომერი	სერიული ნომერი	მარკა	მოდელი	საბალანასო ღირებულება	ნარჩენი ღირებულება
1	პროცესორი	#0002858(1-000355)	CZC9210C3N	HP	dc7900	1120	0
		სულ				1120	0

დანართი N2 (მცირეფასიანი)

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია

#	ინვენტარის სახელი	ინვენტარის ნომერი	სერიული ნომერი	მარკა	მოდელი	ერთ/ღირებულება	თანხა
1	მონიტორი	#1003211 (1-000458)	CNC822Q7XX	HP	L1950	390.6	390.6
2	მონიტორი	#1002804 (1-000355)	CNC822Q33R	HP	L1950	390.6	390.6
3	მონიტორი	#1002903 (1-000363)	CNC822Q36C	HP	L1950	390.6	390.6
		სულ					1171.8

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობა

#	ინვენტარის სახელი	ინვენტარის ნომერი	სერიული ნომერი	მარკა	მოდელი	ერთ/ღირებულება	თანხა
1	მონიტორი	#1003396(MF1-0003690)	CNC822Q36F	HP	L1950	390.6	390.6
		სულ					390.6